გორის მუნიციპალიტეტის

გაკრებულოს

განკარგულება № 78

2023 წლის 15 მაისი

ქ. გორი

პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერსა და მოქალაქე ვლადიმერ მშვიდობაძეს შორის გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები: 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის №31 ხელშეკრულება, (ს/კ 66.45.16.254; 27 კვ.მ. მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2019 წლის 03 დეკემბერს გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის №33 ხელშეკრულება (ს/კ 66.45.16.253; 27 კვ.მ. მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი), 2020 წლის 25 აგვისტოს გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის №12 ხელშეკრულება (ს/კ 66.45.15.049; 18 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი). 2019 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ მშვიდობაძესთან გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის №32 ხელშეკრულება, (ს/კ 66.45.16.256; 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი).

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და განეხორციელებინა ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში. მოგვიანებით №32 ხელშეკრულების (ს/კ 66.45.16.256; 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) ფარგლებში გასხვისებული მიწის ნაკვეთი 2020 წლის 22 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებით საკუთრებაში გადაეცა ვლადიმერ მშვიდობაძეს, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უფლებამონაცვლეა ვლადიმერ მშვიდობაძე.

დღეის მდგომარეობით ზემოაღნიშნული ნაკვეთები გაერთიანებულია ერთ საკადასტრო ერთეულად და მინიჭებული აქვს № 66.45.15.191 (გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე) საკადასტრო კოდი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ვლადიმერ მშვიდობაძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ არსებული პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა სამუშაოების დაწყება და შესაბამისად - პირობის შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვლადიმერ მშვიდობაძე ითხოვდა, რომ აეშენებინა 4 (ოთხი) ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის ნაცვლად ერთი ორსართულიანი შენობა-ნაგებობა, მითითებული პირობის ვადა კი განსაზღვრულიყო 2023 წლის 03 თებერვლამდე, რაც, პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების და იმის გათვალისწინებით, რომ მითითებული ხელშეკრულებების ფარგლებში გასხვისებული მიწის ნაკვეთები ერთ საკადატრო კოდზე იყო მოქცეული და ამავე დროს, გორის მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა ინტერესი მიწის ნაკვეთზე აუცილებლად ოთხი ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის აშენებაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რის შედეგადაც, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 ივლისის N135-ე განკარგულებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა თანხმობა ზემოაღნიშნული პირობის შეცვლაზე, აღნიშნულის საფუძველზე კი, 2021 წლის 11 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ მშვიდობაძეს შორის გაფორმდა შეთანხმება და შეცვლილი პირობა აისახა მითითებულ ხელშეკრულებებში, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ მშვიდობაძეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში: 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებულ №31 ხელშეკრულებაში, (ს/კ 66.45.16.254; 27 კვ.მ. მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2019 წლის 03 დეკემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №33 ხელშეკრულებაში (ს/კ 66.45.16.253; 27 კვ.მ. მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და 2020 წლის 25 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №12 ხელშეკრულებაში (ს/კ 66.45.15.049; 18 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) გაუქმდა 2.5 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებები, რომლის მიხედვითაც მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და განეხორციელებინა ერთსართულიანი შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში. შეიცვალა 2019 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ მშვიდობაძესთან გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №32 ხელშეკრულების (ს/კ 66.45.16.256; 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2.5 პუნქტით განსაზღვრული პირობა და განისაზღვრა, რომ მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და განეხორციელებინა 2 (ორი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება არაუგვიანეს 2023 წლის 3 თებერვლისა.

აღნიშნულის შემდეგ, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ვლადიმერ მშვიდობაძის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ პანდემიიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა პირობის შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვლადიმერ მშვიდობაძე ითხოვდა, რომ მითითებული პირობის ვადა განსაზღვრულიყო არაუგვიანეს 2025 წლის 03 თებერვლისა, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 დეკემბრის N231

განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, 2019 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ მშვიდობაძესთან გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №32 ხელშეკრულების (ს/კ 66.45.16.256; 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2.5 პუნქტით განსაზღვრული პირობა შეეცვალა და განესაზღვრა, რომ მყიდველი ვალდებულია მოახდინოს მიწის ნაკვეთის განაშენიანება და განახორციელოს 2 (ორი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება არაუგვიანეს 2025 წლის 3 თებერვლისა. აღნიშნულის საფუძველზე კი, 2022 წლის 23 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ვლადიმერ მშვიდობაძეს შორის გაფორმდა შეთანხმება და შეცვლილი პირობა აისახა ხელშეკრულებაში.

დღეის მდგომარეობით გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ვლადიმერ მშვიდობაძის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია, რომ 2019 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ მშვიდობაძესთან გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №32 ხელშეკრულების (ს/კ 66.45.16.256; 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2.5 პუნქტით განსაზღვრული პირობით განსაზღვრული ვალდებულება შეიცვალოს და 2 (ორი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობის ვალდებულების ნაცვლად განესაზღვროს 3 (სამი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობის ვალდებულება, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს 2019 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ მშვიდობაძესთან გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №32 ხელშეკრულების (ს/კ 66.45.16.256; 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2.5 პუნქტით განსაზღვრული პირობა შეიცვალოს აღნიშნული პირობის შესრულების ვალდებულებაზე უფლებამონაცვლე პირის ვლადიმერ მშვიდობაძესთან მიმართებაში და განისაზღვროს, რომ ვლადიმერ მშვიდობაძე ვალდებულია მოახდინოს მიწის ნაკვეთის განაშენიანება და განახორციელოს 3 (სამი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება არაუგვიანეს 2025 წლის 3 თებერვლისა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს 2019 წლის 28 ოქტომბერს ნიკოლოზ მშვიდობაძესთან გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №32 ხელშეკრულების (ს/კ 66.45.16.256; (ახალი ს/კ 66.45.15.191) 26 კვ.მ; მისამართი: ქ. გორი, ბაქოს ქუჩის მიმდებარე; არასასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 2.5 პუნქტით განსაზღვრული პირობა შეიცვალოს აღნიშნული პირობის შესრულების ვალდებულებაზე უფლებამონაცვლე პირის ვლადიმერ მშვიდობაძესთან მიმართებაში და განისაზღვროს, რომ ვლადიმერ მშვიდობაძე ვალდებულია მოახდინოს მიწის ნაკვეთის განაშენიანება და განახორციელოს 3 (სამი) სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება არაუგვიანეს 2025 წლის 3 თებერვლისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**